

რუსუდან თურნავა

Rusudan Turnava

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

საქართველო ემილ-ფრანსუა დესენის მოგონებებსა და ნახატებში

Georgia in Emile-François Dessain's Recollections and Paintings

“Quelques Souvenirs d’un voyage au Caucase”(Some Recollections of a journey through the Caucasus) by Emile-François Dessain, painter, engraver and lithographer, is preserved as a manuscript made by the end of 19th century in a French city of Valenciennes. It contains 148 pages. The artist tells us his journey from Russia to the Caucasus and Georgia where he lived in 1850-1851. The recollections were recorded by Edouard Desiré Fromantin, his biographer, shortly prior to the artist’s death and handed to the Municipal Library of Valenciennes in 1910. The manuscript is not studied in Georgian scholarship.

This is interesting material about the life of the family of Giorgi XII, the last king of Georgia, at court of Nicholas I, Russian emperor. The recollections provide important history of creating the portraits of the last queen of Georgia, Mariam Tsitsishvili and her progeny. Dessain’s narrative shows us his close relations with Georgian aristocrats in 1850-1851, after he came to Georgia.

The Recollections reflect Georgian character seen by French artist and Georgia’s socio-political and cultural life in the mentioned period. Dessain is trying to render the exotic of the Caucasus and Georgia, where aristocratism of high society is strangely connected with the local traditions deeply rooted in culture. He recalls the situation and people at that time with mild irony

and evaluates people's warmth, cheerfulness and hospitality; tells about M. Vorontsov and Georgian nobles: Iliko Orbeliani, Nino Chavchavadze, David and Ekaterine Dadiani. He sarcastically mentions the French consul Edmond de Barrerre and traditions of the French colony in Tbilisi. The months spent in Georgia he recalls the brightest and most interesting period in his creative life.

Dessain's recollections are considered as a work in the genre of travel literature which deserves a due attention by its artistic level with reference to other French travelers(Jean Chardin, Jean-Baptiste Tavernier, Jean-Pierre Moynet, Henri Pharamond Blanchard). There is pointed out the artist's perfect aesthetic sense, refined humour and ability of a psychologist. It is worthy of note his benevolent and at the same time critical opinions. The pictures created by Dessain are kept in Zugdidi, in Dadiani Palace, Shalva Amiranashvili National Museum of Fine Arts and in other museums abroad.

Using historical-systematic, chronologic, imagological, biographic and comparative methods of studies, we are able to analyze questions in many aspects overview the role of socio-cultural context.

As a result of our scientific research a vivacious picture of French-Georgian literary-cultural relations in the 1850s is retrieved. New historical information and the features of French-Georgian crosscultural dialogue are revealed. The results of research are worthy for the specialists of literary criticism, historiography, archival studies, art criticism and for the general public concerned with questions of literature and culture.

საკვანძო სიტყვები: ხელნაწერი სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებები, დესენის ნახატები, გიორგი მე-12 და მისი შთამომავლობა, ქართველი არისტოკრატები 1850-1851 წლებში, ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობანი, ახალი ისტორიული ინფორმაცია, კომპარატიული ანალიზი

Key words: a work in the genre of travel, manuscript, pictures by Dessain, Giorgi XII and his progeny, Georgian aristocrats in 1850-1851, French-Georgian literary-cultural relations, new historical information, comparative analysis

სამოგზაურო ჟანრი მსოფლიო ლიტერატურაში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან იკიდებს ფეხს, მაგრამ მისი მნიშვნელობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა დღესაც არსებობს. მიუხედავად ამისა, დიდია სამოგზაურო ლიტერატურის როლი საერთაშორისო ურთიერთობათა, ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური ისტორიის, ასევე მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის თვალსაზრისით. რაც შეეხება, სამოგზაურო ჟანრის ნიმუშების, როგორც მხატვრული ნაწარმოებების აღიარებას, ამას განაპირობებს მწერლის ოსტატობა და უკვე ცნობილი ნაწარმოებები, მათ შორის ალფონს დე ლამარტინის „ადმოსავლეთში მოგზაურობა“ (1835), თეოფილ გოტიეს „ესპანეთში მოგზაურობა“ (1845), ალ. დიუმას „კავკასია“ (1859). ცალკე გამოიყოფა ფანტასტიკური სამოგზაურო ჟანრი, რომელიც მწერლის ფანტაზიით შექმნილ მოგზაურობას გადმოგვცემს, როგორც არის მონტესკიეს „სპარსული წერილები“, დეფოს „რობინზონ კრუზო“, სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“, ჟიულ ვერნის „დედამიწიდან მთვარემდე“ და სხვა.



ემილ-ფრანსუა დესენი

დიდი და მრავალფეროვანია ფრანგული სამოგზაურო ლიტერატურა. XIII საუკუნიდან დაწყებული ის მოიცავს მრავალ ქვეყანას და სხვადასხვა სფეროს. განსაკუთრებით იმატა მოგზაურთა რაოდენობამ XIX საუკუნეში. მათი გააქტიურება უკავშირდება მსოფლიოში და კერძოდ კავკასიაში, ტექნიკურ და კულტურულ პროგრესს. მწერალსა და ჟურნალისტს შეუძლია თავი ირჩინოს საკუთარი კალმით. ამ პერიოდში საქართველოში ჩამოსულ ფრანგ მოგზაურებს შორის ერთ-ერთი მეტად საინტერესო პიროვნებაა ცნობილი ფრანგი მხატვარი ემილ-ფრანსუა დესენი, რომლის მოგონებები იშვიათ ცნო-

ბებს გვაწვდის საქართველოს ისტორიისა და ქართულ-ფრანგული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის შესახებ.

ემილ-ფრანსუა დესენი დაიბადა 1808 წლის 2 ივნისს (გარდაიცვალა 1882 წელს) საფრანგეთის ქალაქ ვალანსიენში სასამართლოს აღმასრულებლის ოჯახში. ბაბუა ჰყავდა მხატვარი. დაამთავრა სამხატვრო სკოლა და წავიდა პარიზში. 1844 წელს გაემგზავრა რუსეთში, რუსი არისტოკრატების პორტრეტების დასახატად. მას ფული და ახალი შთაბეჭდილებები სჭირდებოდა. დესენი ფლობდა იმ დროისათვის მოდურ ტექნიკას – პასტელს, პორტრეტებში შემოიტანა ეროტიკული მოტივები. რუსი თავადაზნაურობისაგან და იქ ჩასული უცხოელებისაგან ღებულობდა შეკვეთებს. მან დახატა ნიკოლოზ პირველის ქალიშვილების პორტრეტები.

დესენმა შექმნა საქართველოს უკანასკნელი დედოფლის, მარიამ ციციშვილის პორტრეტი მისი გარდაცვალების შემდეგ. მხატვარმა სამუშაო რომ დაამთავრა, სთხოვეს, გაჰყოლოდა დედოფლის გადმოსვენების პროცესიას თბილისში. თბილისზე შეყვარებული დესენი თითქმის ერთი წელი დარჩა საქართველოში, 1850-1851 წლებში. ამ პერიოდში დესენის მიერ შესრულებული სურათები ინახება ზუგდიდში, დადიანების სასახლეში და შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში. დესენმა რუსეთში სულ 8 წელი გაატარა, მცირე წყვეტით – 1844-1854 წლებში; ვალანსიენში დააფასეს დესენი – 1875 წელს ის დაინიშნა ქალაქის სამხატვრო აკადემიის დირექტორად, 1877 წელს კი გახდა უხუცესი აკადემიკოსი.

ემილ-ფრანსუა დესენმა თავისი მოგონებები საქართველოში გატარებული პერიოდის (1850-1851 წწ.) შესახებ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე უკარნახა თავის მეგობარ ედუარდ დეზირე ფრომანტენს, რომელიც ვალანსიენის მხატვრების ბიოგრაფიის მრავალტომეულის ავტორია. ფრომანტენმა რედაქტირება გაუკეთა დესენის მოგონებებს და 1910 წელს გადასცა ვალანსიენის მუნიციპალურ ბიბლიოთეკას. ეს ხელნაწერები, რომლის სათაურია – „რამდენიმე მოგონება კავკასიაში მოგზაურობის შესახებ“ („Quelques souvenirs d'un voyage au Caucase, Manuscrit 1098, Bibliothèque Municipale de Valenciennes), ვალანსიენის მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა რუსმა

ხელოვნებათმცოდნემ დიმიტრი ბელანოვსკიმ 2006 წელს. იქვე მოიპოვა დესენის ბიოგრაფია, შედგენილი ფრომანტენის მიერ.

ემილ-ფრანსუა დესენი საქართველოში ჩამოვიდა მოსკოვიდან. თავის მოგონებებში თავიდანვე აღნიშნავს, რომ ფინეთის, ლიტვის და ესტონეთის პროვინციების შემოვლის შემდეგ დაბრუნდა მოსკოვში და აპირებდა მოსკოველ მასპინძლებთან დამშვიდობებას, მაგრამ გარკვეული გარემოების გამო შეცვალა თავისი გეგმა. ამის მიზეზი იყო წერილი, რომელშიც სთხოვდნენ, მისულიყო ქართველი უფლისწულის სახლში, გარდაცვლილი დედოფლის პორტრეტის შესაქმნელად. ასე დაიწყო მხატვრის მეგობრობა გიორგი მეთორმეტის რუსეთში გადასახლებულ შვილებთან და შვილიშვილებთან. ერთ-ერთმა შვილიშვილმა, მოგონებების მიხედვით მას ჰქვია დავითი, დესენს შესთავაზა მათთან ერთად გაჰყოლოდა დედოფლის გადმოსვენების პროცესიას საქართველოში. რამდენიმე დღის ფიქრის შემდეგ მხატვარი დათანხმდა: „ვოცნებობდი ამ მშვენიერი ქვეყნის, ამ ზეცის, ამ აღმოსავლური ბუნების, საქართველოს ნახვაზე, რომლის ქალები ულამაზესად არიან აღიარებული მსოფლიოში“ (Dessain, 1910, გვ. 9). ასე დაიწყო 1850 წლის 10 მაისს დესენის მოგზაურობა დავითთან ერთად რუსეთიდან საქართველოში; მოდიოდნენ ბატონიშვილის ეტლით ჩრდილო კავკასიის და დარიალის ხეობის გავლით თბილისისაკენ. მოგონებების ასორმოდარვაგვერდიან ხელნაწერში გამოყოფილია შემდეგი თავები: 1. მოსკოვიდან გამგზავრება; 2. შეხვედრა ბატონიშვილ ბაგრატიონთან. 3. მდინარე დონის გადაცურვა; 4. ორი ძმის, გრუზინსკების შეხვედრა. 5. სტუმართმოყვარეობა ყაზბეგის მთასთან. 6. კაიშაური. 7. თბილისში ჩამოსვლა; 8. ვიზიტი ბატონ ბარერთან, საფრანგეთის კონსულთან; 9. რკინის შემცველი აბაზანები კავკასიაში; 10. ბრძოლა პიატიგორსკის წყლებთან; 11. საქართველოს დედოფლის დასაფლავება; 12. ვიზიტი წინანდალში, კახეთში; 13. ლეკების თავდასხმა; 14. გორდი; 15. თავად დადიანის სასახლე; 16. გორდიდან გამგზავრება; 17. გემზე ასვლა რედუტ კალეში; 18. ქერჩი; 19. ოდესა; 20. ბუქარესტი.

დესენი ხაზგასმით ამბობს, რომ დედოფალი გარდაიცვალა 80 წლის ასაკში და უკვე 45 წლის განმავლობაში იმყოფებოდა დატყვევებული შვილებთან ერთად რუსეთში. მის პორტრეტზე მუშაობის დროს მხატვარმა მისგან მოშორებით, გალერეაში შენიშნა ქა-

ლიშვილების მშვენიერი სახეები საოცრად ლამაზი თვალებით. მომდევნო სეანსების შემდეგ ის დაუახლოვდა ბატონიშვილებს და გაარკვია გოგონების ვინაობა, ისინი აღმოჩნდნენ გიორგი მეთორმეტის ვაჟის, ილიას ქალიშვილები: ანა, დავით ჭავჭავაძის მეუღლე, ბარბარე, ილიკო ორბელიანის მეუღლე და ნადეჟდა, პისარევის, გენერალ-გუბერნატორის ადიუტანტის მეუღლე, რომელთა ჩანახატები სახელდახელოდ გააკეთა და აჩუქა მათ.

სამეფო ოჯახის ერთ ნაწილს დაევალა მიცვალებულის გადასვენება, სხვები კი ცოტა მოგვიანებით გაუდგნენ გზას. მეფის ვაჟებს კარგად ახსოვდათ სამშობლო. მათი შვილები, დესენის ნაცნობი გოგონები მოსკოვში იყვნენ დაბადებული, მაგრამ მაინც ჰქონდათ ძლიერი სურვილი, ენახათ წინაპრების ქვეყანა.

გზა მეტად რთული აღმოჩნდა, მოწყობის, საკვების შოვნის, ასევე თავდასხმების საშიშროების გამო. ხარკოვში აფთიაქი განაახლეს და გააგრძელეს გზა სტეპებში. ფრანგი მხატვარი ცდილობდა თვით უმნიშვნელო სანახაობის ჩახატვას. ის უკმაყოფილო იყო თავისი თანამგზავრის განათლების დონითა და გონებასუსტობით, ამიტომ ძალიან გაახარა ახალგაზრდა ბაგრატიონთან, დავითის უმცროს ბიძაშვილთან შეხვედრამ, რომელიც ხალისიანი და გონებამახვილი ჭაბუკი აღმოჩნდა. მას დიდხანს უცხოვრია პარიზში.

დესენმა და დავითმა გაჭირვებით გადაცურეს მდინარე დონი და ქალაქ როსტოვ-დონში შევიდნენ. ფრანგ მხატვარს არ მოეწონა ქალაქის არქიტექტურა. გზა რომ განაგრძეს ჩერქეზთა დაჯგუფება შემოეყარათ, შეშინდნენ. დავითს, რომელიც არ გამოირჩეოდა სიმაძაცით, ოფლმა დაასხა. მაგრამ ისინი არ აღმოჩნდნენ მტრული. მათ ხის ეტლში სახედაფარული ქალები ისხდნენ, მიუხედავად ამისა მხატვრის თვალმა მაინც შეამჩნია ჩერქეზი ქალების სახის ლამაზი ნაკვთები (Dessain, 1910, გვ. 25). ცოტა ხნის შემდეგ ეკატერინოგრადთან ახლომდებარე სოფელში შეჩერდნენ. უფლისწულ დავითის ერთი ძმა კაზაკთა პოლკში მსახურობდა და ამ მიდამოებში ძმები სიხარულით შეხვდნენ ერთმანეთს. გაიარეს კაიშაური, ანანური, დუშეთი, რომელსაც მოგზაური მხატვარი ასე ახასიათებს: „აზიური ტიპის ქალაქი, ერთსართულიანი ტერასებიანი სახლებით. ჰქონდათ ბაზარი და დიდი მოედანი, შუაგულში სპარსული გემოვნების შადრევნით. სულ ეს არის, რაც დამამახსოვრდა“ (Dessain, 1910, გვ. 34). დესენმა შენიშნა,

რომ დავითს არ აინტერესებდა თავისი ქვეყნის ღისშესანიშნავი ადგილები, ის ხვრინავდა სხვადასხვა ტონზე. ამის შემდეგ ჩემი მზერა მიიპყრო მცხეთის საკათედრო ტაძარმა, სადაც დაკრძალული არიან ქართველი მეფეები და პატრიარქები, – ამბობს დესენი, ვიფიქრე უფლისწულის გულგრილობა აღარ უნდა გაგრძელებულიყო და გავაღვიძე ცხვირზე ჩქმეტითო. სვეტიცხოველში დავითმა ლოცვა აღავლინა მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით, ფრანგი მხატვარი ამ დროს ყველა კუთხეს ათვალიერებდა, უნდოდა აღმოეჩინა კედლის ძველი ფერწერა, მაგრამ, როგორც თვითონ წერს, „უბედურ თხუპნია მხატვრებს უკვე ჩამოუვლიათ აქ, წაუბილწავთ პირველსაწყისი ხასიათი ნახატებისა და შეუცვლიათ ის რაღაც მეტ-ნაკლებად მყვირალა საშინელებით“ (Dessain, 1910, გვ. 35). ნახევარი საათის შემდეგ ჭენებით, მტვრის კორიანატელში შევიდნენ საქართველოს დედაქალაქში, ტფლისში. ეს მოხდა 1850 წლის 5 ივნისს, ასე რომ, მოსკოვის დატოვებიდან 26 დღე მოუწიათ ეტლით მგზავრობა (Dessain, 1910, გვ. 35).

ფრანსუა დესენი დააბინავეს ვინმე სომეხი მელიქოვის სახლში, სამი ოთახი გამოუყვეს, მოსამსახურეებს კი კაბინეტი უნდა გამოეყენებინათ. აქ გამოჩნდა აღმოსავლურ ზნე-ჩვეულებათა დიდი გავლენა და ევროპულისაგან დაშორება, რასაც სხვა ფრანგი მოგზაურებიც აღნიშნავდნენ (ალ. დიუმა, ჟან-პიერ მუანე). ოთახებში არავითარი ავეჯი არ იყო, არც სკამები, არც მაგიდა და საწოლს საერთოდ არ იცნობდნენ ამ ქვეყანაში. ამაზე პრეტენზიასაც ვერ გამოთქვამდი, ძალიან გვიჭირდა სულ თურქულ ყაიდაზე ჯდომაო, ამბობს ფრანგი მხატვარი.

მეორე დღეს მას გულითადი მიღება მოუწყვეს დავით უფლისწულის ნათესაებმა, დებმა, ბიძებმა, ბიძაშვილებმა. დესენი კვლავ მოიხიბლა ქართველი მანდილოსნების იშვითი სილამაზით, რომლებსაც მალე დაუმეგობრდა კიდევ. ამის შემდეგ ოფიციალურ ვიზიტებზე დაიწყო ფიქრი, თუმცა არ ეხალისებოდა.

კვირა დღე გრაფინია ვორონცოვას მიღების დღე იყო. სასახლესთან რომ მივიდა, ტერასაზე დაინახა უკვე თავმოყრილი მრავალრიცხოვანი ბრწყინვალე საზოგადოება: ორდენებით მოკაზმული გენერლები, მშვენიერი ქალბატონები და ქალიშვილები აღმოსავლურ კოსტიუმებში, უცხოელი თავადაზნაურობა. ადიუტანტმა დესენი მი-

იყვანა გრაფინიასთან, რომლის ქალიშვილობის გვარი და წარმომავლობა მითითებულია მოგონებებში: გრაფინია ბრანიცკაია, ცნობილი პოტიომკინის დისწული. ანეტ(ანა) ბაგრატიონმა გაუადვილა მხატვარს ამ საზოგადოებასთან ურთიერთობა. მათი თხოვნით, დესენმა წარადგინა პასტელით შესრულებული თავისი ნახატები, რომელთაც დიდი მოწონება დაიმსახურეს. ყველამ გამოთქვა სურვილი, რომ მხატვარს მათი პორტრეტები დაეხატა. თავად მეფისნაცვალს, მიხეილ ვორონცოვი ამ დროს მთაში იყო წასული, ამიტომ მასთან შეხვედრა გადაიდო სამომავლოდ.

მეორე დღეს დესენი ეწვია საფრანგეთის კონსულს, ბატონ ედმონ ბარერს. მოგონებებში მხატვრის და კონსულის რამდენიმე შეხვედრაა აღწერილი, რომელშიც ავტორი ბარერის ხასიათის სხვადასხვა მხარეს აცნობს მკითხველს, საბოლოოდ, შექმნილია მისი არგუმენტირებული ფსიქოლოგიური პორტრეტი: ტანად პატარა კაცი, ხასიათით, რომ იტყვიან, არც წყალი, არც ღვინო, სიტყვამრავალი, პატივმოყვარე, ვიწრო თვალსაწიერის მქონე, თავის მომბეზრებელი და მოუქნელი ადამიანი, „ბატონი დე ბარერი ისეთი კაცი იყო, რომელსაც არ შეეფერებოდა გამოჩენილი ადამიანის როლი და თანამდებობა“ (Dessain, 1910, გვ. 61).

დესენი ბარერთან ერთად გაემგზავრა პიატიგორსკში ვორონცოვთან აუდენციისთვის, რომელმაც გულთბილად მიიღო ის და თავისი პორტრეტის დახატვა სთხოვა; ელაპარაკა საქართველოს სილამაზეზე, დაუსვა რამდენიმე შეკითხვა ამ ქვეყანაში ჩამოსვლის მიზეზებზე და ისიც უთხრა, ეჭვი არ მეპარება, რომ ფერწერის სიყვარულმა ჩამოგიყვანა საქართველოში. იქვე გააცნო გენერლები: ვულფი, შტაბის უფროსი, ვრანგელი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ყირიმის ომში, ბარონი ნიკოლაი, ასევე – თავისი ძმა ნიკიტა, ადიუტანტი. მხატვარი ახასიათებს ვორონცოვს როგორც ლამაზი სახის სიმპათიურ მოხუცს, თავაზიან, მისდამი კეთილგანწყობილ ადამიანს, ამბობს, შევქმენი ვორონცოვის ძალიან მიმსგავსებული პორტრეტი.

პიატიგორსკის სამკურნალო წყლებიდან არც თუ შორს მდებარეობდა გენერალ ერისთავის სახლი, რომელსაც დესენი ესტუმრა და ჩაიხატა მისი პორტრეტი. დესენის მოგონებების მიხედვით, ეს იყო მშვენიერი და წარმოსადეგი კაცი, შავი და ძალიან სადა კოსტიუმით, მაგრამ სამაგიეროდ ქამარში ჰქონდა ძალიან მდიდრული იარაღი.

ის ცუდად ლაპარაკობდა ფრანგულად. მას დიდი გავლენა ჰქონდა კავკასიელ მთიელებზე. საუბარი არ უყვარდა, ამიტომ დესენი უსიტყვოდ მუშაოდა პორტრეტზე. გარეთ რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. გენერალი ერისთავი გარეთ გავიდა. ამ დროს დესენთან მივიდა ალექსანდრ დონდუკოვი და აუხსნა, რომ მალე მის თვალწინ სერიოზული ბრძოლა გაიმართებოდა. მხატვარი გოცებუი იყო, თავდაპირველად ხუმრობა ეგონა. დონდუკოვმა ისიც უამბო, რა იყო ამის მიზეზი: ერთმა ყაზარდოელმა პატარა თავადმა თუმანოვმა, რომლის პორტრეტიც დესენმა ორიოდ დღის წინ დახატა, გენერალ ერისთავს შესჩვილა, რომ მისი და ტრადიციული გადასახადის გადაუხდელად მოიტაცეს. ერისთავმა გამოიძახა გამტაცებლები და იარაღის დაყრა უბრძანა. ისინი არ დაემორჩილნენ, მაშინ გენერალმა ერისთავმა კაზაკების ჯარს ცეცხლის გახსნა უბრძანა. ასე გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა, რომელშიც გრიგოლ ორბელინის ძმა, ილიკო ორბელიანიც მონაწილეობდა, დესენი იქვე ამბობს, რომ ამ უკანასკნელმა ცოტა მოგვიანებით მომხიბლავი მოსკოველი პრინცესა შეირთო. ცხადია, იგულისხმება ბარბარე ბაგრატიონი. ვორონცოვმა მეჯლისი ბრძანა, მაგრამ აღარავის ჰქონდა ხალისი. ეს დრამა, წერს დესენი, „არაფრით იყო სასიამოვნო ჩემთვის, დაუცველი მხატვრისთვის, რომელიც თავისი სენსის ჩასატარებლად მიდიოდა.“ მხატვარი კიდევ რვა დღეს დარჩა იქ ბარერთან ერთად და განაგრძობდა მუშაობას.

ემილ-ფრანსუა დესენი ქართველების სტუმართმოყვარეობასა და პატიოსნებაზე ლაპარაკობს დედოფლის დასაფლავების დღეების გახსენებისას. ის პალატოთი მივიდა, მაგრამ შემდეგ გაიხადა და არ იცოდა სად წაეღო პალატო. ეს შენიშნა ბატონიშვილმა დავითმა, მივიდა მხატვართან და სთხოვა პალატო მიეცა ნებისმიერი იქ მყოფისთვის. დესენი მერყეობდა, ვაი თუ დამიკარგონო, მაგრამ ბოლოს გადასცა პალატო. სახლში რომ მივიდა პალატო იქ დახვდა, საგულდგულოდ დაკეცილი. გოცებუი დარჩა.

დასაფლავების ცერემონიის შემდეგ სუფთა ჰაერზე გაშალეს სუფრა, დიდმა პურმარილმა, რომელზეც ისმებოდა ნაირნაირი ადგილობრივი ღვინოები, იქ მოსვლის მიზეზი დაგვავიწყა, – ამბობს მხატვარი, დავლიეთ იმპერატორის და ვორონცოვის სადღეგრძელოები და მხიარულად დავიშალეთ. მეორე საღამოს ათ საათზე ასევე ვივახშმეთ ქართულად ფეხმორთხმულებმა, ღვინის სასმისებად

გვქონდა კულა და ვერცხლის ყანწები. თავი ამტკივდა და ტერასაზე გავედი. ასე წაუქციეს სასმისები საქართველოს უკანასკნელ დედოფალს დასაფლავების დღეს ქართველებმა და მათმა ფრანგმა სტუმარმა.

დესენი შესწრებია ქართველების მიერ საბრძოლო სცენების გათამაშებას ქუჩებში, უბნიდან უბანში, ბოლოს გუბერნატორის ჩარევა გამხდარა საჭირო მათ შესაჩერებლად. ამასთან დაკავშირებით წერს: „ეს მეომარი ხალხი მაინც მუდამ სიამოვნების ძიებაშია, პურმარილი და ცეკვა, აი ეს არის მისთვის მთავარი“ (Dessain, 1910, გვ. 68). სწორედ ქართული ცეკვით გულანთებული მშვენიერი ქართველი ახალგაზრდობა დაინახა ფრანსუა დესენმა ბოტანიკურ ბაღში დიმიტრი ორბელიანის, თავადაზნაურობის მარშლის მიერ (რომელიც დავით ბატონიშვილის ცოლის ძმა იყო) გამართულ წვეულებაზე. საინეტარო ადგილი, სურნელოვანი ხეების ჩრდილი, გამაგრილებელი სასმელები და ყველანაირი ხილი. მხატვრის თვალით დანახული ქართული ცეკვების ყოველი მოძრაობა, კადანსები და გრაციოზული პოზებია აღწერილი; ბარბარე ორბელიანმა, ილიკო ორბელიანის მეუღლემ გამოიჩინა ინიციატივა და ლეკურის მელოდია დაიწყო; ახალგაზრდების ტაშის ხმაზე წრეში შემოვიდა მოცეკვავე ბარბარე. ამ წვეულებაზე მოულოდნელად შემოიჭრნენ თათრები და დიმიტრი ორბელიანს მოახსენეს, რომ წინა დღეს ჩამოახრჩვეს უდანაშაულო ადამიანები და ახლა დაიჭირეს დამნაშავეები. ეს უკანასკნელებიც სასწრაფოდ გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. ასე შეიტყო დესენმა მწარე სიმართლე იმდროინდელი სამართლის შესახებ და ირონიულად თქვა: „აი ასე ასწორებენ შეცდომებსო“ (Dessain, 1910, გვ. 71).

ფრანსუა დესენის მოგონებები მოიცავს საინტერესო ცნობებს ვორონცოვის მიერ თბილისში გამართული მდიდრული წვეულებების შესახებ, სადაც პირველი კადრილი უმაღლეს საზოგადოებას ეკუთვნოდა, კოსტიუმები კი მეტად მრავალფეროვანი იყო. მასპინძელი მხატვარს უახლოეს ადამიანებს აცნობდა და მათი პორტრეტების შექმნას სთხოვდა. კურიოზულია ერთ ასეთ მეჯლისზე მოწვეული სპარსეთის შაჰის ბიძის ამბავი. ის შაჰის წინააღმდეგ შეთქმულებაში ამხილეს და სასჯელს გამოექცა. დესენი აღწერს მის კოსტიუმს, ჩანს რომ მხატვარს ეჯავრება ეს კაცი და ძალდატანებით ხატავს მას, რადგან ჭუჭყიანი მაღალი წინდები ეცვაო. შაჰის ბიძამ შეამჩნია ეს

დამოკიდებულება და ჩამოხრჩობით დაემუქრა, თუ ერთ დღეს მის ქვეყანაში აღმოჩნდებოდა.

ფრანსუა დესენმა დააკმაყოფილა დავით ჭავჭავაძის მეუღლის, ანას დაჟინებული თხოვნა და ესტუმრა მათ ოჯახს წინანდალში დავით ბატონიშვილთან და ერთ ქართველ კაცთან, ვინმე ჭილაშვილთან ერთად. ამ სტუმრობის დროს ფრანგი მხატვარი აღაფრთოვანა ევროპული ტიპის შატოს და ევროპული კულტურისადმი პატივისცემის ხილვამ ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავალთა მამულში: სტუმრის გულითადი მიღება და პატივისცემა, წინანდლის დიდი სასახლის თანამედროვე კონსტრუქცია, ძალიან დიდი ბილიარდის დარბაზი; ტერასიდან გადაჰყურებდნენ იშვიათი მცენარეების პარკს ფორთოხლის და ლიმონის ხეებით, ყურძნით სავსე ტალავერით, ჟასმინის და აზიური ჩიტისვაშლას ხეივნებით, არაჩვეულებრივ სურნელს რომ აფრქვევდა. ვენეციური ფარნების ფერადოვნება იდუმალეზას მატებდა პარკს. დესენს აქვს ინფორმაცია მასპინძლებისა და მათი სტუმრების შესახებ და ახასიათებს მათ: ოჯახის დიასახლისი, ანეტ ბაგრატიონი ჭავჭავაძისა ულამაზესი თვალებით არის სახელგანთქმული საქართველოში, მისი მული, გრიბოედოვის ქვრივი ნინო ჭავჭავაძე 30 წელს გადაშორებული, მაგრამ ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი ქალია, ამას ემატება მისთვის დამახასიათებელი გულთბილობა; ანას ახალგაზრდა და ბარბარე, რომელიც ამ წვეულებიდან ცოტა ხნის შემდეგ ტფილისში დაქორწინდა ილიკო ორბელიანზე, ძალიან მამაც სამხედრო პირზე, შამილის ყოფილ ტყვეზე, რომელიც შემდეგ თურქებმა მოჰკლეს ახალქალაქში(სინამდვილეში სასიკვდილოდ დაიჭრა ყირიმის ომში, ბაშკადიკლართან, 1853 წელს). აქ იყო ნინა ბარათაშვილი თავისი თექვსმეტი წლის მშვენიერი ქალიშვილით. ამათთან ერთად, როგორც დესენი ამბობს, გუვერნანტები და ბავშვები ქმნიდნენ შესანიშნავ გარემოცვას.

მხატვარი დაუღალავად განაგრძობდა ახალი პორტრეტების შექმნას. დილაობით ცხენებით სეირნობდნენ, მათ შორის მანდილოსნებიც, მაგრამ შორს წასვლა არ შეიძლებოდა. სწორედ ამ ვითარებას აღნიშნავს ხაზგასმით დესენი, ჭავჭავაძეების ოჯახი და მათი სტუმრები მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობდნენ, უმნიშვნელო ხმაური მათ ყურადღებას იპყრობდა, რადგან მოსალოდნელი იყო ლეკების თავდასხმა. ეკატერინემ, სამეგრელოს უკანასკნელმა დედოფალმა

შეიტყო, რომ დესენი მის ძმასთან იმყოფებოდა სტუმრად და წერილი გამოუგზავნა. ეკატერინე სთხოვდა მხატვარს, ტფილისში ჩასვლისას გაერკვია პორტრეტების ჩასადები იმ ყუთის ასავალ-დასავალი, რომელიც სამი თვის წინ გაუგზავნა ფრანსუამ მას. წასვლის წინ ანა ბაგრატიონმა დესენს აჩუქა ვერცხლის კულა ოჯახის გერბით.



ამის შემდეგ ასევე დიდი შთაბეჭდილებებით აღსავსე აღმოჩნდა დესენის სტუმრობა სამეგრელოს მთავართან დავით დადიანთან და მის მეუღლესთან, ეკატერინესთან. იქამდე მისასვლელად კი ფრანგმა მოგზაურმა ფრიად სახიფათო გზები და სამეგრელოს უღრანი ტყეები გაიარა. მხატვარი ცდილობდა თითქმის ყველაფრის ჩახატვას, მასალას უხვად აწვდიდა სამეგრელოს იშვიათი ბუნება. სოფელ გორდს რომ მიუახლოვდნენ, რომელიც მთავრის საზაფხულო რეზიდენციაა, მხედრების ესკორტი დახვდათ.

დავით ლევანის ძე დადიანი

ერთმანეთის გაცნობა არ იყო რთული, რადგან დესენმა ეკატერინეს პორტრეტი ჯერ კიდევ ტფილისში დახატა, მის მეუღლეს კი პირველად შეხვდა. დესენი ამბობს, რომ დავით დადიანს უჭირდა ფრანგულად ლაპარაკი, მაგრამ მის კეთილ განწყობას გრძნობდა, თარჯიმნობას დავითის ძმა, კონსტანტინე უწევდა, რომელთანაც მრავალჯერ მისადილია ტფილისში. სუფრასთან მიიპატიჟეს, აქ აღწერს მეგრული სუფრის წეს-ჩვეულებებს. ღვინო საუკეთესო იყო, მაგრამ სასმისის დადება არ შეიძლებოდა, ყველა რიგრიგობით სვამდა ერთი სასმისიდან. მხატვარს გამოუყვეს კეთილმოწყობილი პატარა ხის სახლი, რომლის კედლებზე აბრეშუმი იყო გაკრული, მისი საწოლის თავზე ძვირფასი იარაღი ეკიდა. მომდევნო დღეებში ეტიკეტს უკვე აღარ იცავდნენ, ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს. დილით საუზმემდე ცხენით სეირნობდნენ, მერე დესენი იწყებდა პორტრეტების სერიას, რადგან ბევრი პორტრეტი ჰქონდა დასახატი, სამეგრელოს



ეკატერინე ჭავჭავაძე

ავიდა მთაზე მთავრის ამაღლასთან ერთად მზის დაბნელების სანახავად, მხოლოდ ფანჯრიდან უყურებდა, რასაც ძალიან ნანობს. ისევ გაგარინმა იხსნა, ქინაქინა მოუტანა.

მთავარი და მისი კარის დიდებულები ნადირით მდიდარ სამეგრელოს ტყეებში ნადირობით ერთობოდნენ. მიდიოდნენ თავისი იარაღით, ხალიჩებით და რჩეული შევარდნებით. მოგონებებში ფრანგი მხატვარი დაწვრილებით აღწერს ნადირობის სცენებს. დესენი კვლავ ბევრს მუშაობდა, ბოლოს ცხელების გადატანის გამო დასუსტებულმა, ცოტა ხანს დასვენება გადაწყვიტა, მაგრამ სწორედ იმ დროს ესტუმრა მთავარს სამეგრელოს ქორეპისკოპოსი. მხატვარს ძალიან მოეწონა მისი გარეგნობა და მდიდარი სამოსი, რა თქმა უნდა, მისი პორტრეტიც შექმნა.

ემილ-ფრანსუა დესენის მოგონებები მოიცავს ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობ მასალებს 1850-იანი წლების შესახებ. ეს არის ეპიზოდები გიორგი XII დატყვევებული ცოლ-შვილისა და შვილიშვილების ცხოვრებიდან რუსეთის სამეფო კარზე, მათი დამოკიდებულება სამშობლოსადმი, საქართველოს უკანასკნელი დე-

მთავრის, მისი მეუღლის და ბავშვებისა სხვადასხვა კოსტიუმში. ნაშუადღევს სეირნობდნენ უზარმაზარ პარკში.

ერთ დღეს ესტუმრათ ქუთაისის გუბერნატორი, ალექსანდრ გაგარინი ახალგაზრდა მეუღლესთან, ნასტინკა ორბელიანთან ერთად. დესენის ცნობით ქვეყნის ეს ლამაზმანი იმდენად ავად იყო, რომ პოზირება არ შეეძლო ოც წუთზე მეტ ხანს. ეს ის გაგარინია, რომელსაც კონსტანტინე დადეშქელიანი დაესხა თავს და სასიკვდილოდ დაჭრა 1857 წელს. დესენს იმ დროისათვის კოლხეთის დაბლობზე გავრცელებული ციებ-ცხელება დაემართა, ამბობს, შეიძლება გაგარინმა გადმომდოო. ამის გამო ვერ

დოფლის, მარიამ ციციშვილის დასაფლავების რიტუალი მცხეთაში, ილიკო ორბელიანის მთიელებთან ბრძოლის ერთი ეპიზოდი გენერალ ერისთავის მეთაურობით, გაუვალი და დაუცველი გზები რუსეთის იმპერიაში, დაჭრილი სამხედროები და შამილის ტყვეები, რომელთაც მცირე შესაწირი მისცა დესენმა. რუსეთის იმპერიის ოფიციალური პირების და ოფიცრების ფსიქოლოგიური და ფერწერული პორტრეტები: მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი და მისი მეუღლე ელიზაბეტ (ლიზა) ბრანიცკაია, გენერლები – ვულფი, ვრანგელი, ბარონი ნიკოლაი, ქუთაისის გუბერნატორი ალექსანდრ გაგარინი და მისი მეუღლე ანასტასია (ნასტია) ორბელიანი, პოლკოვნიკი ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვი, დიმიტრი ორბელიანი, თავადაზნაურობის მარშალი და სხვა; ასევე ქართველი დიდგვაროვანების შთამბეჭდავი სახეები: ანა ბაგრატიონი, ეკატერინე ჭავჭავაძე და დავით დადიანი, მისი ძმა, კონსტანტინე დადიანი, სამეგრელოს ქორეპისკოპოსი; უცხოელები – საფრანგეთის კონსული საქართველოში, ედმონ ბარერი, სპარსეთის შაჰის მიერ შერისხული ბიძა. მიუხედავად მცირე უზუსტობებისა, დესენის მემუარები ძირითადად ობიექტურია.

მოგონებების მიხედვით დესენი წარმოჩნდა როგორც ჭეშმარიტი და წარმატებული მხატვარი, რომელიც უცნობ ქვეყნებში ესწრაფვის ახალ გარემოს და თემებს თავისი შემოქმედებისთვის. მიუხედავად გზებზე არსებული საშიშროებისა, უარს არ ამბობს შორეულ მოგზაურობაზე რუსეთსა და კავკასიაში. მოგზაურობის დროს დაულაგად მუშაობს, რომ ჩაიხატოს არამარტო მნიშვნელოვანი მასალა, არამედ მეტ-ნაკლებად საინტერესოც. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს სვეტიცხოვლის ფრესკებისადმი. მკითხველის წინაშეა მოაზროვნე, ჰუმანისტი ფრანგი მხატვრის თვალით დანახული ქართული გარეგნობა და ხასიათი: მეომარი ქართველები და იმავდროულად სიამოვნების მაძიებლები, სუფრის და ცეკვის მოყვარულები. აკვირდება სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, სამართალს და ზნე-ჩვეულებებს. მოსწონს ქართველების სტუმართმოყვარეობა, გულისხმიერება და პატიოსნება. აინტერესებს მთის ხალხების – ყაზარდოელების, ჩეჩნების, ჩერქეზების, ყალმუხების ტრადიციები.

ფრანსუა დესენის მოგონებები ეხმაურება ალ. დიუმას „კავკასიას“ (1859) და მისი მხატვრის, ჟან-პიერ მუანეს მოგონებებს (1860, 1867). დესენის შთაბეჭდილებები მოცულობით ვერ უტოლდება დიუმას

წიგნს, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით არ ჩამორჩება. სამივე ფრანგი მოგზაური დიდ სიმპათიას და თანაგრძნობას გამოხატავს საქართველოს მიმართ. ისინი გრძნობენ დაპყრობილი ქვეყნის მდგომარეობას და ამბობენ, რომ მიუხედავად ამისა ქართველები ინარჩუნებენ სიმამაცეს და სიცოცხლის ხალისს. დესენი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს უკანასკნელი დედოფალი, 80 წლის გარდაიცვალა, ის 45 წლის წინ ჩამოიყვანეს დატყვევებული შვილებთან ერთად რუსეთში. იმპერატორის, ნიკოლოზ პირველის ნებართვის გარეშე შვილებს არ შეეძლოთ მისი საქართველოში გადმოსვენება, შვილიშვილები კი ძალიან გაახარა ამ ნებართვამ. მართალია, ისინი მოსკოვში დაიბადნენ, მაგრამ ძალიან უნდოდათ წინაპრების სამშობლოს გაცნობა. რაც შეეხება ალექსანდრე დიუმას, მას თბილისის თეატრის მშვენიერი ფარდის ხილვამ ათქმევინა საქართველოს ბედის ამსახველი საგულისხმო სიტყვები: „რუსეთი შავ-ბნელი მბრძანებელი, რომელსაც მისი სიმძლავრეც კი ვერ აბედნიერებს და საქართველო, სიცოცხლით სავსე ტყვე, რომელსაც დამონებაც კი ვერ აუბედურებს“ (დიუმა, 2009, გვ. 57).

იმ დროს საქართველოში სკამებისა და მაგიდების, საწოლების თითქმის არარსებობა და იატაკზე მჯდომარე მოლხენა, რაც ევროპული კულტურისაგან დაშორებაზე მიუთითებს, დესენტან ერთად შეამჩნიეს დიუმამ და მუანემ აგრეთვე. თავისი შთაბეჭდილებების წიგნში, „კავკასია“, დიუმა წერს, როგორ დაპატიჟა ჟურნალ „ციკრის“ რედაქტორმა, ივანე კერესელიძემ სადილად რედაქციაში: „იატაკზე ეგო დიდი ხალიჩა ზედ გაშლილი სუფრით, სუფრა, ჩვენთვის, ვინც ფუფუნებას ვიყავით შეჩვეული, გაწყობილი იყო თეფშებით, დანა-ჩანგლითა და კოვზებით, ადგილობრივ სტუმრებს კი ძველი პატრიარქალური ჩვეულების თანახმად, ხელით უნდა ეჭამათ“ (დიუმა, 1970, გვ. 343).

სამივე ცნობილი მოგზაური, შეიძლება ითქვას, ერთხმად ასხამს ხოტბას ქართველი მანდილოსნებისა და მამაკაცების გარეგნობას და ღირსებას. დესენი პირველი დანახვისთანავე მოიხიბლა გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის ქალიშვილების სილამაზით, როცა პირველად მივიდა ბატონიშვილების სახლში. აი რას წერს ფრანგი მხატვარი: „ერთ გალერეას გავაყოლე თვალი, იქ, მალლა შევნიშნე გოგონების მომხიბლავი თავები საოცრად ლამაზი თვალებით“ (Dessain, 1910,

გვ.4). მოგვიანებით, როცა ფრანსუამ გაიცნო დავით ბატონიშვილის ნათესავი ქალები, თავისი აღფრთოვანება ასე გამოხატა: „ჩემი თვალები ვეღარ უძლებდა იმ მშვენიერი ქართველი ქალების ყურებას, რომლებიც ჩემი თანამგზავრის (დავითის, რ. თ.) ნათესავები იყვნენ და რომლებსაც სულ მალე გავუშინაურდი“ (Dessain, 1910, გვ. 37).

ალექსანდრე დიუმა, ისე როგორც ფრანსუა დესენი განსაკუთრებით მოიხიბლა ანა ბაგრატიონი-ჭავჭავაძის ულამაზესი თვალებით. წინანდალში სტუმრობის შემდეგ დაწერა „სამი მუშვეტერის“ ავტორმა ეს სიტყვები: „ამ ლამაზი თვალებით სახელგანთქმულ ქვეყანაში თავად ჭავჭავაძის მეუღლე ანა ცნობილია როგორც ულამაზესი თვალების მქონე მანდილოსანი“ (დიუმა, 1970, გვ. 299).



ნინო ჭავჭავაძე

ფრანსუა დესენის მოგონებების ენა მდიდარია ტროპებით და მხატვრული ფიგურებით, მახვილგონიერებითა და იუმორით. ბუნებისა და პერსონაჟების აღწერისას ვლინდება მხატვრის ხელწერა. დავით ბატონიშვილის უმცროსი ბიძაშვილის დახასიათებისას მეტაფორად გამოყენებულია პარიზის ერთ-ერთი საპატიმროს სახელი – სენტ-პელაჟი, რომელიც თავისუფლების შეზღუდვაზე მიაჩნებებს, ვლინდება დახვეწილი იუმორიც. დავითთან ერთად მოგზაურობით შეწუხებულმა დესენმა განგების მიერ მოვლენილ საჩუქრად მიიჩნია

და აი, ჟან-პიერ მუანეს ქათინაურები ქართველი მანდილოსნების მიმართ: „ქართველმა ქალებმა სამართლიანად დაიმსახურეს მსოფლიოში ულამაზესი ქალების სახელი. ეს არის სიმშვიდე, ჰარმონიით შექმნილი სილამაზე, რომლის უკვდავი ტიპი მარმარილოში შემოგვინახა საბერძნეთმა“ (Moynet, 2006, გვ. 187). „ჩვენ ქუჩაში შევხვედრივართ ისეთ ქართველ მამაკაცებს, რომლებსაც ნამდვილად აქვთ უფლება, აპოლონ ბელვედერელის პროტოტიპებად იქნან აღიარებული“ (Moynet, 2006, გვ. 190).

გზაზე მის უმცროს ბიძაშვილთან შეხვედრა, რომელიც თავის პოლკში უნდა ჩასულიყო. მხატვრის სიტყვებით, „გენერალი ბაგრატიონი სიცოცხლით სავსე, მშვენიერი ახალგაზრდა კაცი ჩანდა. საკმაოდ დიდხანს ცხოვრობდა პარიზში და დიდი გონებამახვილობით გვიყვებოდა თავის პატარა ოინებს, რაც, სხვათაშორის, უფრო მეტად რომ გაეფართოებინა, ალბათ სენტ-პელაჟიში ამოყოფდა თავს ცოტა ხნით“ (Dessain, 1910, გვ. 18). გენერალ ბაგრატიონთან არის დაკავშირებული მეორე მეტაფორაც – „ბალთაზარის ლხინი“: ბაგრატიონმა თავისი საგზალი, ლორი, მეხვი და ყველი გაუზიარა დესენს და დავითს, რომლებსაც საკვები დიდი ხნის წინ გამოეღიათ გზაში. დიდი სიამოვნებით შევექცეთ ამ საუზმეს, – ამბობს დესენი, „ჩვენთვის ეს ნამდვილად იყო ბალთაზარის (ბიბლიური მეფის, რ.თ.) ლხინიო“ (Dessain, 1910, გვ. 19). ასევე საინტერესოა სპარსეთის შაჰის ბიძის სამოსი, მხატვრის თვალით დანახული და ირონიით შეზავებული: „მას ეცვა ძალიან სადა შავი კოსტიუმი, რომლის რამდენიმე ნაწილი მდიდრულ შესახედაობას ანიჭებდა სამოსს მთლიანობაში. ქამარზე ჰქონდა გაშლილი ვარდისებური ბროში, ბრილიანტებით, ლალით და ზურმუხტით შექმნილი. მისი ასტრახანული ქუდის ჯილის ქვეშ მოჩანდა ასევე დიდი, ბრილიანტებით გაწყობილი გულქანდა, მკერდს უფარავდა რამდენიმე ორდენი. ამ დეტალებს იმიტომ მოგახსენებთ, რომ დიდ კონტრასტს ქმნიდა. ასეთი სიმდიდრისა და სიდიადის ფონზე, ამ კაცს ეცვა ჩვეულებრივზე უბრალო ჩუსტები, რომელსაც ხშირად იხდიდა და მისი ჭუჭყიანი მაღალყელიანი წინდები ცუდი სამეზობლო იყო“ (Dessain, 1910, გვ. 73-74).

მწარე ირონია იგრძნობა კონსულ ბარერის პორტრეტის ამ აღწერაში: „ჩემი საბრალო ბარერი, ასეთი კარგი ბიჭი არსად მოიძებნებოდა ქვეყანაზე, მაგრამ ძალიან მომაბეზრებელი იყო, განუწყვეტლივ იმეორებდა ერთსა და იმავეს, საზოგადოებას კვებავდა ბატონ გიზოსთან მიღებული გაკვეთილებით და თავისი ავტორიტეტის შესახებ ლაპარაკით იერუსალიმში კონსულოზის დროს“ (Dessain, 1910, გვ. 58).

გზაზე ხიდის ჩავარდნით გაავეებული ბარერის მდგომარეობას კარგად მოერგო ეს მეტაფორა – „ქარიშხალი დაატრიალა“: „ბატონმა ბარერმა ქარიშხალი დაატრიალა ამ საშინელი უდროო დაბრკოლების გამო“ (Dessain, 1910, გვ.43).

დასასრულს, გავიხსენებთ კიდევ ერთ საყურადღებო ეპიზოდს ფრანსუა დესენის ნაწარმოების მხატვრულ-ისტორიული ანალიზისთვის. მხატვარი მკითხველს სთავაზობს ეკატერინე ჭავჭავაძესთან ერთად დადიანების უზარმაზარ პარკში სეირნობის სცენას, რომელშიც ჩანს მათი გულითადი ურთიერთობა და ავტორის დახვეწილი იუმორი. ასწლოვან ხემდე უნდა მისულიყვნენ, „მანძილი საკმაოდ დიდი იყო, ამიტომ ქალბატონი გულთბილად მეუბნებოდა (ეს მანერა ამშვენებდა მას): აბა, ბატონო დესენ, თქვენი მკლავი გამომიწოდეთ, გაფრთხილებთ, რომ დაგლით, რადგან არ ვარ კარგი მოსიარულე. ეს ნაწილობრივ შეეფერებოდა სიმართლეს, მაგრამ ძალიან დიდი დაფასება იყო და ვერ დავიჩივლებდი. ახალგაზრდა და უმშვენიერესი დედოფლის დასაყრდენი რომ ვიყავი, უბრალო საქმე არ გახლდათ და მერე, ბადის სკამები სხვადასხვა მანძილზე იყო განლაგებული დასასვენებლად (Dessain, 1910, გვ. 107).

ემილ-ფრანსუა დესენის მოგონებების სახით გვაქვს სამოგზაურო ჟანრის მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც მოიცავს უცნობ მასალებს საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის და კულტურის სფეროებიდან. ეს არის ქართულ-ფრანგული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის ერთ-ერთი ძეგლი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. ის უნდა ითარგმნოს ქართულად და გახდეს უფრო ფართო კვლევების საგანი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გაწერელია, ა. (1970). ალექსანდრე დიუმა და მისი მოგზაურობის წიგნი „კავკასია“. წგ.: -ში: დიუმა ალ. კავკასია, თბილისი: „მერანი“.
- გურული, ვ., ობოლაძე, დ. (2017). შამილი და ქართველები, თბილისი: „ქართული უნივერსიტეტი“.
- დიუმა, ალ. (1970). კავკასია. თბილისი: „მერანი“.
- დიუმა, ალ. (2009). კავკასია, თბილისი: „აგორა“.
- იამანიძე, მ. (2006). საქართველო ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში (XIII-XVIII სს.), თბილისი.
- Dessain, E.-F. (1910). Quelques souvenirs d'un voyage au Caucase, Manuscrit 1098, Bibliothèque Municipale de Valenciennes. Dumas, Al. (2006). Le Caucase, impressions de voyages. Montréal: Le Joyeux Roger.

- Lesure, M. (1978). La France et le Caucase à l'époque de Chamil (à la lumière des dépêches des consuls français). Cahiers du Monde russe et soviétique, vol.19, N 1 –2, Le Caucase.
- Moynet, J.-P. (2006). Le Volga et Le Caucase avec Alexandre Dumas, Cahiers Alexandre Dumas, 33. Paris.
- Белановский, Дм. (2014). Эмиль Франсуа Дессен: Художники мемуаристы, электр. журн. „Наше наследие“, 108. www. Nasledie – rus.ru

References:

- Diuma, Al. (1970). K'avk'asia. [he Caucasus]. Tbilisi: “Merani”.
- Diuma, Al. (2009). K'avk'asia. [The Caucasus]. Tbilisi: “Agora”.
- Gats'erelia, A. (1970). Alekandre Diuma da misi mogzaurobis ts'igni “K'avk'asia”. [Alexandre Dumas and his travel book]. In: Dumas Al. The Caucasus, Tbilisi: “Merani”.
- Guruli, V., Oboladze, D. (2017). Shamili da Kartvelebi. [Shamil and the Georgian]. Tbilisi: “The Georgian University”.
- Iamanidze, M. (2006). Sakartvelo prangul mogzaurul lit'erat'urashi (XIII-XVIII ss.). [Georgia in the French travel literature]. Tbilisi.
- Dessain, E.-F. (1910). Quelques souvenirs d'un voyage au Caucase, Manuscrit 1098, Bibliothèque Municipale de Valenciennes.
- Dumas, Al. (2006). Le Caucase, impressions de voyages. Montréal: Le Joyeux Roger.
- Lesure, M. (1978). La France et le Caucase à l'époque de Chamil (à la lumière des dépêches des consuls français). Cahiers du Monde russe et soviétique, vol.19, N 1 –2, Le Caucase.
- Moynet, J.-P. (2006). Le Volga et Le Caucase avec Alexandre Dumas, Cahiers Alexandre Dumas, 33. Paris.
- Belanovsky, Dm. (2014). Emile Fransua Dessen: Khudozhniki memuaristy. [Memoirist Artists]. Our Heritage, 108. www. Nasledie – rus.ru